



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49.49221331

თარიღი:13/05/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის
ლევანი ჩანქსელიანის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, 36-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ლევანი ჩანქსელიანი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მივლინებული იქნეს პოლონეთში, ქალაქ უნიეოვში, 2022 წლის 24 - 31 მაისს, გეოთერმულ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, (თემა- „გეოთერმული ენერჯია და სხვა განახლებადი ენერჯიის ინვესტიციები, კლიმატის დაცვა და ეკონომიკური განვითარება“).
2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავე კომისიის წევრს ნოდარ ასათიანს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

